დანართი N3

ინფორმაცია მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები მოქალაქე მარინე მერლანის გაცხადებაზე რეაგირების თაობაზე.

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ განცხადებაში, ქალბატონო მარინე მერლანი აღნიშნავს, რომ მიწის სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში მან ააზომვინა მისი მამა-პაპისეული მიწის ნაკვეთი და მიმართა საჯარო რეესტრს (განაცხადების ნომერი: 882023690247; ზონა: მესტია, სექტორი: ლენჯერი, საკადასტრო კოდი:42.07.40.289) რეგისტრაციის მოთხოვნით, მაგრამ მარეგისტრირებელმა ორგანომ მას რეგისტრაციაზე უარი უთხრა და მთავარ მიზეზად დასახელდა რომ აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს პოტენციური ელექტროსადგურის ტერიტორიას.

ქალბატონ მარინე მერლანის განცხადებასთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს:

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „აი ჯი ენერჯი“ (ს/კ 404989937) მესტიის მუნიციპალიტეტში ახორციელებს 40.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის „მულხურა ჰესის" პროექტს, მისი შემდგომი ფლობისა და ექსპლუატაციის მიზნით. განვმარტავთ, რომ მულხურა ჰესის პროექტის მიხედვით, განმცხადებლის მიერ მითითებულ მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობა, რასაც განვახორციელებთ სამშენებლო ეტაპზე უშუალოდ მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან ურთიერთშეთანხმებით. ამასთან, მოგახსენებთ, რომ შპს „აი ჯი ენერჯი“-ს არ მიუმართავს არც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთვის და არც სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსათვის მითითებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის შეზღუდვის ან აკრძალვის მოთხოვნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვადასტურებთ, რომ შპს „აი ჯი ენერჯი“ არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 42.07.40.289) საკუთრების უფლების გადაცემა.

როგორც აღინიშნა მიწის ნაკვეთის პროექტის მიზნებისათვის გამოყენება მოხდება მხოლოდ მეპატრონესთან შეთანხმების საფუძველზე.